საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეკონომიკის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	პროგრამა „ეკონომიკა“ მოიცავს 120 კრედიტს. მათ შორის სავალდებულო საგნებს ეთმობა 80 კრედიტი (45 კრედიტი სავალდებულო საგნებს, 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომს, 5 კრედიტი პრაქტიკას). სპეციალიზაციის საგნებს ეთმობა - 40 კრედიტი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ➢ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➢ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) - B2 დონე და სპეციალობა; ➢ მობილობის წესით (შიდა/გარე) ჩარიცხვა; ➢ უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთაც აქვთ ფუნდამენტური ცოდნა მოხმარებაზე, დანაზოგებზე, ინვესტიციებზე, სავალუტო კურსსა და სავაჭრო ბალანსზე, საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობის კანონზომიერებების, გლობალური ეკონომიკური პრობლემების, ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის და მისი ინსტრუმენტების შესახებ.
სწავლის შედეგები	აქვს: ● სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი იდეების შემუშავების საშუალებას. აცნობიერებს ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს. ● ღრმა და სისტემური ცოდნა: მაკროეკონომიკური კანონზომიერებების, მიკროეკონომიკური თეორიის, მონეტარული და ფისკალური ეკონომიკური ინსტრუმენტარების, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრისას ეკონომიკური ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ; ეკონომიკისა და ბიზნესის სახელმწიფოებრივი რეგულირების თანამედროვე მექანიზმების, რისკების მართვის, საბაზრო ინფრასტრუქტურის, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. შეუძლია: ● რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; ● თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე; ● სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე, დემოკრატიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; ● გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური რეფორმების კრიტიკული შეფასება; ● ფისკალური და მონეტარული ინტრუმენტარების გამოყენება პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში; ● ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების mეთოდების ანალიზი და შერჩევა; ● სოციალური ეკონომიკის, სოციალური ინფრასტრუქტურის შეფასება; ● საინვესტიციო გარემოს, საგარეო სავაჭროპროცესების სწორად შეფასება და სხვ.

შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: ნათელა წიკალაშვილი - პროფესორი ტელ: 577952595, e-mail: deputyrector-n@bsu.edu.ge